



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მარუშიანი ზვიად

მარუშიანი ზვიად, დასავლეთ საქართველოს დიდი ფეოდალი X–XI სს. მიჯნაზე, ბაგრატ III-ის მოხელე – თრიალეთის ერისთავი X ს. 80-იან წლებში (დაახლ. 988 მეფემ კლდეკარი ჩამოართვა რატი ბაღვაშს და თრიალეთის ერისთავად მ. დანიშნა, რასაც გვამცნობს ლივადის ეკლესიის წარწერა). 1014 მ-მა ფანასკერტიდან (ტაო) ბეღიაში გადაასვენა ბაგრატ III-ის ცხედარი. XI ს. 20-იან წლებში, ბიზანტიასთან ომის დროს, მ. სარდლობდა ქართველთა მენინავე ლაშქარს. დროის მოგების მიზნით გიორგი I-მა მას დაავალა ბიზანტიელებთან საზავო მოლაპარაკების გამართვა. ზვიად ერისთავი მოხსენიებულია გარზმის ხატის განმარტების წარწერაში (რ-საც გ. ჩუბინაშვილი XI ს-ით ათარიღებს). მენინავე ლაშქრის სარდლობა (მენინავეობა მესხებს ჰქონდათ საქართველოს ლაშქარში) და გარზმის ხატის წარწერაში მოხსენიება საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ მ. იყო სამცხის ერისთავიც. შემდეგში მ-ს გიორგი I-თან კონფლიქტი მოუვიდა, რის გამოც მეფემ ის შეიპყრო (ამას გვამცნობს გომარეთის წარწერა). შესაძლოა, სწორედ ამის შემდეგ დაბრუნდნენ ბაღვაშები თრიალეთში. სავარაუდოა, რომ მ. იყო ჭავახეთის ერისთავის, ზვიად მარუშიანის შვილიშვილი და ჭავახეთის ერისთავ ვაჩეს შვილი.

წყარო: მათიანე ქართლისა, წგ.: ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., ტ. 1, თბ., 1955; ბ ა ქ რ ა ძ ე ა., თრიალეთისა და ატენის ეპიგრაფიკული ძეგლები როგორც ისტორიული წყარო, „ს. ჯანაშიას სახ. საქართველოს სახელმწ. მუზეუმის მოამბე“, 1959, ტ. 20B; გარზმის ფერისცვალების ხატის წარწერა, წგ.: ჩუბინაშვილი გ., ქართული ოქრომჭედლობა VIII–XVIII საუკუნეებისა. ალბომი, თბ., 1957.

ნ. შოშიაშვილი
